

შპს სოლომედი

შპს სოლომედი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2024 წლის 31 დეკემბერს

შპს სოლომედი

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	64 196	34 567
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5 509	5 080
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი ს	9 319	355
მარაგები	-	-
თვითღირებულების მოდელით	-	-
გადაფასების მოდელით	-	-
გუდვილი	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-
ძირითადი საშუალებები	2 003 771	2 198 414
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-
სულ აქტივები	2 082 795	2 238 417
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	39 403	64 059
ანარიცხები	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	79 492	62 620
საგადასახადო ვალდებულებები	27 382	17 998
გამოუმუშავებელი შემოსავალი	39	39
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	-	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	-	-
მიღებული გრანტები	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	146 316	144 716
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოპერა	1 821 889	1 821 889
საემისიო შემოსავალი	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	114 590	271 812
გადაფასების რეზერვი	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	1 936 479	2 093 701
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2 082 795	2 238 417
სულ მოკლევადიანი აქტივები	79 024	40 002
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	146 277	144 676
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	-	-

შპს სოლომედი
დირექტორი:

ბ. მიქელაძე



ბ. მიქელაძე

შპს სოლომედი

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	2 176 172	1 907 882
საქონლის გაყიდვიდან	-	-
მომსახურების გაწევიდან	2 176 172,00	1 907 882
გაყიდვების თვითღირებულება	- 522 511,00	- 483 000
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	1 653 661	1 424 882
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1 434,00	914
დასაქმებულთა ანაზღაურება	- 1 222 973,00	- 1 010 071
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი	- 200 402,00	- 60 077
საპროცენტო შემოსავალი	10 704,00	6 193
იჯარის ხარჯი	-	- 59 538
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	- 82 191,00	- 35 284
სულ საოპერაციო ხარჯები	- 1 493 428	- 1 157 863
საოპერაციო მოგება	160 233	267 019
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობი	- 300,00	- 122
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	- 698,00	- 1 447
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	159 235	265 450
მოგების გადასახადის ხარჯი	- 69,00	- 26
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	159 166	265 424
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონება)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	159 166,00	265 424,00
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2 093 701,00	217 839,00
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		1 785 438,00
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	- 316 388,00	- 175 000,00
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 777 313,00	2 093 701,00

შპს სოლომედი

დირექტორი:

ბ. მიქელაძე



ბ. მიქელაძე

შპს სოლომედი

ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი)	335608	125838
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი)	10704	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი)	-316388	-140000
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	29924	-14162
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათზე	-295	-57
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	34567	48786
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	64196	34567

შპს სოლომედი
დირექტორი:

ბ. ბიჭელაძე



ბ. ბიჭელაძე

შპს სოლომედი

ანგარიშგება კაპიტალში მომხდარი ცვლილებების შესახებ
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	36 451,00	181 388,00	217 839,00
გაცემული დივიდენდი	1 785 438,00	-	1 610 438,00
პერიოდის შედეგი		265 424,00	265 424,00
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	1 821 889,00	271 812,00	2 093 701,00
გაცემული დივიდენდი		316 388,00	-
პერიოდის შედეგი		159 166,00	159 166,00
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	1 821 889,00	114 590,00	1 936 479,00

შპს სოლომედი

დირექტორი:

ბ. მიქელაძე



ბ. მიქელაძე

შპს სოლომედი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

1. შპს სოლომედი

შპს სოლომედი („კომპანია“) დაარსდა 2015 წლის 16 იანვარს და მდებარეობს საქართველოში.

2024 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით უშუალო 100%-იანი წილის მფლობელი იყო იურიდიული პირი შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი ს/კ 445466870.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს საავადმყოფოების საქმიანობები.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია პუშკინის ქ. №118 ბათუმი, საქართველო.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია თავდაპირველი ღირებულების პრინციპის თანახმად. ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის თითოეული სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს სუბიექტი ახორციელებს საქმიანობას („ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ღირებულებები დამრგვალებულია უახლოეს ათასებამდე ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ძირითადი საშუალებები. ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა მითითებულია თვითღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. შენობა-ნაგებობების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება.

გაყიდვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ცვეთა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი

შპს სოლომედი

მეთოდის გამოყენებით, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას, აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

	სასარგებლო გამოყენების წლებში:	ვადა
კომპიუტერული და სხვა ტექნიკა	5 – 10	
შენობა-ნაგებობები	10 - 20	
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 – 10	
სატრანსპორტო საშუალებები	5 – 10	
სხვა ძირითადი საშუალებები	5 – 10	

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდური ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

შპს სოლომედი

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას.

სესხები. სესხები აღირიცხება თვითღირებულებით.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

უცხოურ ვალუტაში გადანაგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

31 დეკემბერი 2024

ლარი/1 აშშ დოლარი
ლარი/1 ევრო

2,8068
2,9306

შპს სოლომედი

ამჟამად ქართული ლარი არ არის ადვილად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს გარეთ.

შემოსავლის აღიარება. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

საქონლის რეალიზაცია

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება საქონლის მიწოდებისა და უფლებების გადაცემის შემდეგ, თუ კმაყოფილება შემდეგი პირობები:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი.
- კომპანია აღარ ინარჩუნებს მენეჯერული ჩარევის საშუალებას ისეთი ხარისხით, რაც მფლობელობასთანაა დაკავშირებული და ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე.
- შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა.
- მოსალოდნელია, კომპანიაში ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოღინება.
- შესაძლებელია ტრანზაქციასან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების სარწმუნოდ გაზომვა.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს. კომპანიას არა აქვს რაიმე საპენსიო ან მსგავსი დახმარების გადახდის კანონით გათვალისწინებული თუ კონსტრუქციული ვალდებულება.

ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები, და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

მოქმედი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნოლოგიური განვითარების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

შპს სოლომედი

4. ძირითადი საშუალებები

ბიწა	შენიშვნები	კომპიუტერი და სხვა ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ამორტიზებადი მძიმე საშუალებები	ოჯარი ადგილი ქონების	მანქანა-დანადგარები	ხელ
ისტორიული ღირებულება							
ნაშთი 31.12.2022-ის მდგომარეობით	-	-	55 859,00	75 993,00	1 500,00	472 384,00	631 191,00
დამატება	85 189,00	1 665 249,00	-	-	-	-	1 750 438,00
აქტუალური ღირებულება							
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	85 189,00	1 665 249,00	55 859,00	75 993,00	1 500,00	472 384,00	2 381 629,00
დამატება	-	-	988,00	-	4 771,00	-	5 759,00
აქტუალური ღირებულება							
ნაშთი 31.12.2024-ის მდგომარეობით	85 189,00	1 665 249,00	56 847,00	75 993,00	6 271,00	472 384,00	2 387 348,00
გაუმჯობესებული ძველი							
ნაშთი 31.12.2022-ის მდგომარეობით	-	-	26 413,00	19 913,00	1 288,00	69 164,00	123 137,00
პერიოდის დეფა	-	13 687,00	11 111,00	14 336,00	16,00	20 568,00	60 078,00
გაუმჯობესებული ძველი							
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	-	13 687,00	37 524,00	34 249,00	1 304,00	89 732,00	183 215,00
პერიოდის დეფა	-	83 262,00	7 013,00	12 642,00	345,00	92 127,00	200 402,00
გაუმჯობესებული ძველი							
ნაშთი 31.12.2024-ის მდგომარეობით	-	96 949,00	44 537,00	46 891,00	1 649,00	181 859,00	383 617,00
წმინდა საბალანსო ღირებულება							
ნაშთი 31.12.2022-ის მდგომარეობით	-	-	29 446,00	56 080,00	212,00	403 220,00	508 054,00
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	85 189,00	1 651 562,00	18 335,00	41 744,00	196,00	382 652,00	2 198 414,00
ნაშთი 31.12.2024-ის მდგომარეობით	85 189,00	1 568 300,00	12 310,00	29 102,00	4 622,00	290 525,00	2 003 771,00

შპს სოლომედი

5. მარაგები

2023 და 2024 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, მარაგი არ გააჩნდა კომპანიას.

	31/12/2024	31/12/2023
საქონელი	-	-
სხვა მარაგები	-	-
სულ	-	-

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31/12/2024	31/12/2023
სავაჭრო მოთხოვნები	5509	5080
სულ	5509	5080

7. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31/12/2024	31/12/2023
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	9319	355
სულ	9319	355

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31/12/2024	31/12/2023
ნაღდი ფული სალაროში (ლარი)	1500	5543
ფული ბანკებში (ლარი)	62570	29004
ფული ბანკებში (აშშ დოლარი)	126	20
სულ	64 196	34 568

9. მოკლევადიანი ნასესხები სახსრები

შპს სოლომედი

	31/12/2024	31/12/2023
გადასახდელი ძირი	0	0
გადასახდელი პროცენტი	0	0
	0	0

10. გრძელვადიანი ნასესხები სახსრები

	31/12/2024	31/12/2023
ბანკი	0	-
	0	-

11. სავაჭრო ვალდებულებები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, სავაჭრო ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31/12/2024	31/12/2023
სავაჭრო ვალდებულებები	39403	64059
სულ	39403	64059

12. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო აქტივი/ვალდებულება მოიცავს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოს მდგომარეობით.

13. ამონაგები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის ამონაგები მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
რეალიზაცია 0%-იანი დღგ-ით	2 176 172,00	1 907 882
სულ	2176172	1907882

შპს სოლომედი

14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს შემდეგს:

დასახელება	2023
რეკლამის ხარჯები	11 481,00
საკანცელარიო ხარჯები	6 206,00
დასუფთავების ხარჯი	1 010,00
კომუნიკაციის ხარჯები	138,00
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	354,00
საგადასახადო ხარჯები	1 127,00
საბანკო ხარჯები	14 601,00
საჯარო რეესტრის ხარჯი	220,00
სხვა საერთო-ადმ. ხარჯები, რომლებიც არ გამოიქვითება	147,00
	35 284

2024 წელი

რეკლამის ხარჯები	37 702,00
საკანცელარიო ხარჯები	6 148,00
დასუფთავების ხარჯი	2 320,00
კომუნიკაციის ხარჯები	504,00
კომპიუტერის ხარჯები	461,00
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	9 354,00
საგადასახადო ხარჯები	6 984,00
საბანკო ხარჯები	17 684,00
მომსახურების ხარჯი	605,00
საჯარო რეესტრის ხარჯი	38,00
სხვა საერთო-ადმ. ხარჯები, რომლებიც არ გამოიქვითება	391,00

82 191

შპს სოლომედი

15. წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის წმინდა შემოსულობა/(დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
ეფექტი ვალდებულებებზე	0	
ეფექტი ფულზე	300	122
სულ	300	122

16. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, კომპანიის სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი) მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-698	-1447
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	0	0
	-698	-1447

17. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციას.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანია შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

18. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას.

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ

გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება.

19. შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

20. საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ორგანიზაციის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

21. შემდგომი მოვლენები

შპს სოლომედი

კომპანიაში არ მომხდარა ისეთი არსებითი ცვლილებები, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენას,

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 27 სექტემბერი.

დირექტორი: ბ. მიქელაძე

